საქართველოს კანონი

„სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონში (პარლამენტის უწყებანი, №19-20, 30.05.1998, გვ. 37) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:
1. მე-5 მუხლის პირველი პუნქტის:

ა) „ძ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ძ) საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საჯარო შესყიდვების სააგენტო, როგორც მოსარჩელე ან მოპასუხე, – სარჩელზე საჯარო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევის თაობაზე;“;

ბ) „ჰ^2“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ჰ^3“ ქვეპუნქტი:

„ჰ^3) საჯარო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭო (შემდგომ – საბჭო), როგორც მოსარჩელე ან მოპასუხე, – საჩივართან დაკავშირებით საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებასთან დაკავშირებულ საქმეზე.“.

2. კანონს დაემატოს შემდეგი შინაარსის 6^2 მუხლი:

„მუხლი 6^2. სახელმწიფო ბაჟის გადახდისგან განთავისუფლების დროებითი წესი

2025 წლის 1 იანვრამდე საერთო სასამართლოებში განსახილველ საქმეზე სახელმწიფო ბაჟის გადახდისგან თავისუფლდება სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭო, როგორც მოსარჩელე ან მოპასუხე, საჩივართან დაკავშირებით საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებასთან დაკავშირებულ საქმეზე.“.

მუხლი 2

1. ეს კანონი, გარდა ამ კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტისა, ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

2. ამ კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტი ამოქმედდეს 2027 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს 2024 წლის 5 სექტემბრის კანონი №4400 - ვებგვერდი, 23.09.2024წ.

საქართველოს პრეზიდენტი **სალომე ზურაბიშვილი**

თბილისი,

9 თებერვალი 2023 წ.

N2552-XIმს-Xმპ